ნატო ქობულაძე, დალი ბერანძე

უნივერსიტეტების ჩართულობა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში

რეზიუმე: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს საჯარო სკოლებში ინერგება ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა „ახალი სკოლის მოდელის“ სახით, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმ-ნა.მესამე თაობის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში დანერგის პროცესში USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული საქართველოს რვა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლებიც ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს და რომელთა კურსდამთავრებულები სწორედ ასეთ სკოლებში დასაქმდებიან. პროგრამა ხელს უწყობს დაწყებით კლასებში მოსწავლეზე ორიენტირებული რეფორმის განხორციელებას; მხარდაჭერას უწევს „ახალი სკოლის მოდელს“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში და მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინსტიტუციონალიზაციას მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების რეფორმის, განათლების პოლიტიკისა და სასწავლო პროცესის კვლევაზე დაფუძნების გზით. პარტნიორი სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა დიდი გავლენა იქონია არა მარტო მასწავლებლებლებზე, არამედ დირექტორებზე, როგორც საგანმანათლებლო ლიდერებზე. პროექტის ფარგლებში მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, მიეწოდათ უნივერსიტეტების მიერ შექმნილი თემატური ერთეულები ქართულსა და მათემატიკაში დაწყებითი საფეხურისთვის, მიეწოდათ სასარგებლო მასალები.

Nato Kobuladze, Dali Berandze

Involvement of universities in the process of introducing a new national curriculum

Summary: The Ministry of Education and Science of Georgia is introducing a new, third-generation national curriculum in Georgian public schools in the form of a "New School Model", which is an important part of the education system reform. It aims to create a student-centered educational environment.Eight Georgian state universities are actively involved in the process of implementation of the new third-generation national curriculum within the USAID Basic Education Program. These universities are implementing Teacher Training educational programs and the program graduates will be employed in such schools. The program promotes the student-centered

reform in primary schools; It supports the “New School Model” in introducing a third-generation national curriculum and aims to institutionalize the student-centered teaching through the teacher training and the professional development reform, as well as through getting the education policy and learning process based on the research. The activities carried out by the partner state universities have had a great impact not only on the teachers but also on the principals as educational leaders. Within the project, teachers were trained and they were provided with the thematic units in Georgian language and Mathematics at the primary level created by the universities.

საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი განვითარება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2018-2019 სასწავლო წლიდან დაიწყო ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს საჯარო სკოლებში „ახალი სკოლის მოდელის“ სახით. „ახალი სკოლის მოდელი“ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მიზანია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს 21-ე საუკუნის რეალობისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს.

„მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა და სკოლამ შეძლოს მოსწავლეებზე, მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც რეალურად იქნება მოსწავლის განვითარების გზა“, – ამბობს პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თამარ ჯაყელი და განმარტავს, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ სკოლას იაზრებს, როგორც ერთ მთლიან ორგანიზაციას, სადაც სკოლის დირექტორი, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ერთი გუნდის წევრებად აღიქვამენ თავს და ერთობლივად მუშაობენ სკოლის განვითარებისათვის. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, რაც თითოეული სკოლის შემთხვევაში გამოწვევებისა თუ პრობლემების დასაძლევად სკოლის ინდივიდუალური საჭიროებების გააზრებას გულისხმობს (https://publika.ge/article/122/).

„ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვა ხუთწლიან პროცესს მოიაზრებს და 2024 წლისათვის საქართველოს ყველა სკოლა იქნება აღნიშნული მიდგომების განმახორციელებელი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახელმწიფო უნივერსიტეტების როლი ახალი ესგ-სა და მასწავლებლის მომზადების კურიკულუმებთან მიმართებაში. აღნიშნული განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების ასახვის აუცილებლობას საჭიროებს.

„ახალი სკოლის მოდელის“ განხორციელების პარალელურად, USAID-ის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და RTI International საქართველოს დაფინანსებით შემუშავდა საბაზისო განათლების პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2020 წლიდან რვა რეგიონალურ უნივერსიტეტთან, „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებასთან“ (CFS) და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან (CCIIR) თანამშრომლობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უშუალო თანამშრომლობის გზით პროგრამა, უნივერსიტეტების ჩართულობით, ხელს უწყობს დაწყებით კლასებში მოსწავლეზე ორიენტირებული რეფორმის განხორციელებას.

საბაზისო განათლების პროგრამა მხარდაჭერას უწევს „ახალი სკოლის მოდელს“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში და მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინსტიტუციონალიზაციას მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების რეფორმისა და განათლების პოლიტიკისა და სასწავლო პროცესის კვლევაზე დაფუძნების გზით.

ეს მიზანი მიიღწევა პროექტში ჩართული უნივერსიტეტების ტრენერთა გუნდის მიერ სამი ამოცანის განხორციელებით:

1. მოქმედი მასწავლებლები და დირექტორები წარმართავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს.

2. მომავალი მასწავლებლები იძენენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უნარ-ჩვევებს, ხოლო მომავალი დირექტორები - საგანმანათლებლო ლიდერების უნარებს.

3. საგანმანათლებლო პოლიტიკა შემუშავებულია მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

აღნიშნული აქტივობების განხორციელებით, სისტემური რეფორმის ფარგლებში, პროგრამა გავლენას მოახდენს საქართველოში დაწყებითი განათლების სექტორით დაინტერესებულ ყველა მხარეზე, მათ შორის, მოსწავლეებსა და მათ ოჯახებზე, მასწავლებლებზე, დირექტორებზე, უნივერსიტეტებზე, ადგილობრივ ორგანიზაციებზე.

აღნიშნული რვა უნივერსიტეტიდან ორი პარტნიორი უნივერსიტეტი- აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ) და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზსსუ) აქტიურად არიან ჩართულები USAID საბაზისო განათლების პროგრამის განხორციელებაში. აწსუ ფარავს იმერეთის რეგიონს და აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს იმერეთის 373-ვე საჯარო სკოლაში, ხოლო ზსსუ-ფარავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 251 საჯაროსკოლას.

პროექტის ფარგლებში აწსუ-ს მიერ უკვე გადამზადებულია 373 სკოლის დირექტორი და 1119 ლიდერი მასწავლებელი, ხოლო ზსსუმ პროექტის ფარგლებში გადაამზადა 251 საჯარო სკოლის დირექტორი და 753 ლიდერი მასწავლებელი. დირექტორები და ლიდერი მასწავლებლები გადამზადდნენ თემაზე: “მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება“.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობით, 2021 წლის იანვრიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით განახორციელდება შემდეგი აქტივობები:

1. 12 საათიანი ტრენინგები თემაზე: „კრიტიკულ აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითრება“;
2. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებზე დაკვირვება-ქოუჩინგი;
3. ქსელურ სასწავლო საზოგადოებებში მონაწილეობა;
4. ბიზნეს ლიდერთა მრგვალი მაგიდის ორგანიზება;
5. პრატქიკის კვლევის განხორციელება უნივერსიტეტების ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართულობით;

6. ტრენინგ-მოდულებისა და სხვა საგანმანათლებლო დოკუმენტაციის შემუშავება;

7. მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების რევიზია და აქტუალური თემატიკით განახლება

ეროვნული სასწავლო გეგმის კვლევის მიხედვით, შეფასდა პროექტში პირველ ეტაპზე ჩართული 62 საჯარო სკოლა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული რეფორმა მასწავლებლებს აძლევს მოტივაციას იყვნენ ლიდერები. გაამართლა ასევე ქოუჩინგის მეთოდმა. ის, რაც პედაგოგებში ყველაზე დიდ მოწონებას იმსახურებს, რომ მათ თვის ეს გარედან თავსმოხვეული მოდელი კი არ არის, არამედ ისინი თვითონ ქმნიან სასწავლო გეგმას, გეგმავენ საგაკვეთილო პროცესს, თვითონ არიან რეფორმის ფერხულში ჩაბმული. ქოუჩები, მათთან ერთად, სწავლების მეთოდებზე მსჯელობენ, გაკვეთილის დაგეგმვას ასწავლიან, მაგრამ არა ისე, როგორც იმპერატიული ავტორიტეტები, ისინი მასწავლებლების დამხმარეები არიან, ერთად სხედან და მუშაობენ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტებმა დიდი როლი შეასრულეს, მათ მასწავლებლებს მისცეს შესაძლებლობა გაეანალიზებინათ და დაენერგათ უნივერსიტეტების მიერ შექმნილი და შეთავაზებული თემატური ერთეულები ქართულისა და მათემატიკის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის ტრენერების მიერ ისეთი მნიშვნელოვანი თემატიკის შეთავზება, როგორიცაა: „ინკლუზიური განათლება“, „დიფერენცირებული სწავლება“, „განმავითარებელი შეფასება“, „გაზიარებული ლიდერობა“, „მასწავლებელთა საწავლო ჯგუფების მნიშვნელობა“, „მშობელთა ჩართულობა“ და „ბიზნეს სექტორის ჩართულობა“.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა ელექტრონული პორტალი chemiskola.ge, სადაც განათლების სფეროს წარმომადგენლებს მიეცემათ საშუალება დარეგისტრირდნენ და ჰქონდეთ წვდომა განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე, საგანმანათლებლო რესურსებზე, ტრენინგებსა და ვებინარებზე, საგანმანათლებლო კვლევებზე და ა.შ.

დამოწმებული ინტერნეტწყაროები:

http://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo

https://www.etaloni.ge/geo/main/index/28308

https://publika.ge/article/122/